განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია
მაგისტრატურა

შეფასების თარიღ(ებ)ი - 4 ნოემბერი, 2021

დასკვნის წარდგენის თარიღი - 30 ნოემბერი, 2021

თბილისი
2021

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	**ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტი** საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	**შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია** **Work and Organizational Psychology**
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის მაგისტრი Master of Work and Organizational Psychology
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0313, ფსიქოლოგია
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №294, 11.11.2011

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნათია ბადრიშვილი შპს გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მზია თედიაშვილი შპს კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სალომე საბიაშვილი შპს საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრიაპირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ გვიანიშვილი შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქეთევან ჩეკურიშვილი სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

„შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (შემდგომში - პროგრამა) ხორციელდება 2011 წლიდან. პროგრამამ 2011 წლის 11 ნოემბერს მიიღო აკრედიტაცია (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №294, 11.11.2011). ამჯერად, პროგრამა გადის რეაკრედიტაციას.

წარმოდგენილი პროგრამის მიზანია, მოამზადოს პროფესიონალები, რომლებიც იმუშავებენ ორგანიზაციებში, როგორც ფსიქოლოგები, კონსულტანტები, ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტები, რომლებიც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ ორგანიზაციების ეფექტურ ფუნქციონირებაში. პროგრამის კურსდამთავრებულთა უმრავლესობა დასაქმებულია მიღებული კვალიფიკაციით, კერძო თუ საჯარო სექტორებში.

პროგრამა აკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს და თანხვედრაშია აღნიშნულ სფეროში არსებულ საერთაშორისო გამოცდილებასთან. კერძოდ, იგი შესაბამისობაშია SIOP-ის სახელმძღვანელო პრინციპებთან და სტანდარტებთან, რაც პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფისა და კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

პროგრამის ხანგრძლივობაა 2 წელი (4 სემესტრი). პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს, მათ შორის: 90 კრედიტი - სასწავლო კომპონენტები (სასწავლო კურსები, პრაქტიკა), 30 კრედიტი - სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი). სასწავლო კურსები დაყოფილია 3 მოდულად: 1) შრომა და ორგანიზაცია (50 ECTS კრედიტი; სავალდებულოა, რომ მაგისტრანტმა აიღოს მინიმუმ 40 კრედიტი); 2) კვლევა და შეფასება (45 ECTS კრედიტი; სავალდებულოა, მაგისტრანტმა აიღოს მინიმუმ 37 კრედიტი); 3) პიროვნება, ჯგუფები და მართვა (23 კრედიტი; სავალდებულოა, მაგისტრანტმა აიღოს მინიმუმ 13 კრედიტი). პროგრამის სამივე მოდულში წარმოდგენილი სასწავლო კურსები არჩევითია იმ პირობით, რომ თითოეული მოდულიდან მაგისტრანტმა უნდა დააგროვოს გარკვეული რაოდენობის სავალდებულო კრედიტები.

სამაგისტრო ნაშრომის გარდა, სტუდენტები კვლევითი უნარების განვითარების მიზნით, სხვადასხვა სასწავლო კურსების ფარგლებში აგროვებენ დაახლოებით 10 კრედიტს.

მაგისტრანტებს აქვთ შესაძლებლობა, სტაჟირება გაიარონ ისეთ ორგანიზაციებში, როგორებიცაა: HR საკონსულტაციო ორგანიზაცი, ადამიანური რესურსის მენეჯმენტის ცენტრი-PMC, სადაზღვევო კომპანია GPI, ჰიპერმარკეტებისა და სუპერმარკეტების ქსელში Carrefour და მობილური კავშირის კომპანია Beeline.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ „შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება განხორციელდა 2021 წლის 4 ნოემბერს. კოვიდ-19 პანდემიის პერიოდში დაწესებული შეზღუდვებიდან გამომდინარე, შეფასება და მატერიალურ-

ტექნიკური ბაზის დათვალიერება განხორციელდა დისტანციურად, zoom პლატფორმის მეშვეობით.
წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის მიხედვით, შედგა შეხვედრები უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველ-ყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან, თვითშეფასების ჯგუფთან და ხელმძღვანელებთან, ასევე, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება მოხდა უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის წარმომადგენლის, ხოლო ელექტრონული ბიბლიო-თეკის დათვალიერება - ბიბლიოთეკარის დახმარებით.
ვიზიტები წარიმართა ორგანიზებულად, შეფერხების გარეშე და მიმდინარეობდა მშვიდ, თა-ნამშრომლობით გარემოში.
ვიზიტის დასრულებამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეაჯამა ინფორმაცია, ჯგუფის თავმჯდომარემ კი უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გააცნო ჯგუფის ძირითადი მიგნებები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**
  - <u>სტანდარტი 1</u> - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც <u>შესაბამისო-ბაშია მოთხოვნებთან</u> (1.1 და 1.2. კომპონენტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან).
  - <u>სტანდარტი 2</u> - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შე-ფასების ადეკვატურობა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც <u>მეტწილად შე-საბამისობაშია მოთხოვნებთან</u> (2.1, 2.3, 2.4 და 2.5 კომპონენტები შეფასდა როგორც შე-საბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 2.2 და 2.6 კომპონენტი შეფასდა როგორც მეტ-წილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან).
  - <u>სტანდარტი 3</u> - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - ექს-პერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> (3.1 და 3.2 კომპონენტები შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან).
  - <u>სტანდარტი 4</u> - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> (4.1, 4.2, 4.3 და 4.4 კომპონენტები შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან).
  - <u>სტანდარტი 5</u> - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> (5.1 5.2. და 5.3. კომპონენტები შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან).

- **რეკომენდაციები**
  - განისაზღვროს სავალდებულო სტატუსი იმ სასწავლო კურსებისთვის, რომელთა შეს-წავლა ქმნის პროგრამის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელ პირობას.
  - „სამაგისტრო ნაშრომის დაცვის დებულებაში“ (მ.11, პ. 11.7) არსებული ჩანაწერი „სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია“ უნდა მოვიდეს შესაბამისობაში „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებასთან (მ.4, პ.19), რომლის თანახმად F შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იმავე ნაშრომის წარდგენის უფლებას.
  - შეფასების მეთოდად მითითებული „დასწრება“ ჩანაცვლდეს შეფასების ისეთი მეთოდით, რომლითაც იქნება შესაძლებელი სტუდენტის მიღწევების შეფასება.
  - სტუდენტის შეფასების გამჭვირვალობისათვის დასაზუსტებელია რას მოიაზრებს „აქტივობაში“ როგორც შეფასების მეთოდი და მისათითებელია შეფასების კრიტერი-უმები.

- პროგრამის განსხვავებულობის მიუხედავად, მოსაძიებელია უცხოეთის უსდ-ების პროგრამები, რომლებიც გარკვეულწილად თანხვედრაშია დაწესებულების პროგრამასთან, რათა იყოს შესაძლებელი სწავლების არსებული გამოცდილებისა და ტენდენციების გაზიარება.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - კურიკულუმის რუკის დანართში მითითებული სწავლის შედეგები მოვიდეს შესაბამისობაში პროგრამის კურიკულუმში მითითებულ სწავლის შედეგებთან.
  - მიზანშეწონილია ყურადღება მიექცეს მისანიჭებელი კვალიფიკაციის ინგლისურენოვანი დასახელების სწორად (Master of Work and Organizational Psychology) მითითებას.
  - სასურველია გაუმჯობესდეს სტუდენტთა ინფორმირება ყოველკვირეული საკონსულტაციო საათების შესახებ;
  - სასურველია, უნივერსიტეტმა/ფაკულტეტმა უზრუნველყოს საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების, კონფერენციების, საჯარო ლექციების, კვლევითი პროექტების და ა.შ. სათანადო პოპულარიზაცია პროგრამის სტუდენტთა ინტერნაციონალიზაციის საკითხით დაინტერესების მიზნით.
  - მიზანშწონილია პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს როგორც დარგობრივი ორგანიზაციების, ასევე საქართველოს და უცხოეთის უსდ-ების მიერ.
  - ჩატარებული შეფასების შედეგები მიზანშეწონლია იყოს ფორმალიზებული უნივერსიტეტის მიერვე შემუშავებული დოკუმენტის (ფორმების) სახით.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
  - ხარისხის მართვის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ერთიანი საუნივერსიტეტო მიდგომებისა და ხედვების არსებობას, ისე ფაკულტეტების უფლებას, მოახინოს მათი იმპლემენტაცია საკუთარი საჭიროებებისა და პროგრამების თავისებურებების გათვალისწინებით.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

- **„არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების/არგაზიარების შესახებ ინფორმაცია“**

1.2. ***რეკომენდაცია (1)*: *კურიკულუმის რუკის დანართში მითითებული სწავლის შედეგები მოვიდეს შესაბამისობაში პროგრამის კურიკულუმში მითითებულ სწავლის შედეგებთან.*** - ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს ინსტიტუციის პოზიციას. ვთვლით, რომ კურიკულუმის რუკის დანართში მითითებული სწავლის შედეგები და პროგრამის კურიკულუმში მითითებული სწავლის შედეგებს შორის შეუსაბამობა ტექნიკური გაუგებრობაა.

რეკომენდაცია (2)*: *მიზანშეწონილია ყურადღება მიექცეს მისანიჭებელი კვალიფიკაციის ინგლისურენოვანი დასახელების სწორად (Master of Work and Organizational Psychology)მითითებას - ექსპერტთა თვლის, რომ მიზანშეწონილია, თვითშეფასების ანგარიშში სწორად იყოს მითითებული პროგრამის დასახელება. რეკომენდაცია გადატანილია „რჩევებში“.

2.2. რეკომენდაცია*: *განისაზღვროს სავალდებულო სტატუსი იმ სასწავლო კურსებისთვის, რომელთა შესწავლა ქმნის პროგრამის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელ პირობას. - *ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს ინსტიტუციის პოზიციას, ვინაიდან,* საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 69/ნ ბრძანების დანართი

#2 "სწავლის სფეროების კლასიფიკატორი"-ს (მ.6. პ.6) თანახმად, ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები წარმოდგენილი უნდა იყოს სავალდებულო და არჩევითი სახით.

2.6.

რეკომენდაცია (1): „სამაგისტრო ნაშრომის დაცვის დებულების“ (პ.11.7) ჩანაწერი „სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია“, მოვიდეს შესაბამისობაში „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებასთან. - ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს ინსტიტუციის პოზიციას და უცვლელად ტოვებს რეკომენდაციას. რეკომენდაციაში არ არის საუბარი ნაშრომის დაცვის პროცედურებზე, ამ პროცედურების ან კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევის ფაქტებზე. რეკომენდაცია ეხება დებულების კონკრეტული ჩანაწერის: „სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია“ შეუსაბამობაზე „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებასთან (მ. 4, პ.19), რომლის თანახმად F შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იმავე ნაშრომის წარდგენის უფლებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულების პოზიცია გაზიარებული არ არის. მეტი სიცხადისთვის, *რეკომენდაცია ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:* ***„სამაგისტრო ნაშრომის დაცვის დებულებაში“ (მ.11, პ. 11.7) არსებული ჩანაწერი „სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია“ უნდა მოვიდეს შესაბამისობაში „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებასთან (მ.4, პ.19), რომლის თანახმად F შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იმავე ნაშრომის წარდგენის უფლებას“.***

რეკომენდაცია (2): შეფასების მეთოდად მითითებული „დასწრება“ ჩანაცვლდეს შეფასების ისეთი მეთოდით, რომლითაც იქნება შესაძლებელი სტუდენტის მიღწევების შეფასება. სტუდენტის შეფასების გამჭვირვალობისათვის, დასაზუსტებელია, რას მოიაზრებს „აქტივობაში“ როგორც შეფასების მეთოდი და მისათითებელია შეფასების კრიტერიუმები. - - ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს ინსტიტუციის პოზიციას. რეკომენდაცია გამომდინარეობს შემდეგიდან:

1) „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებაში არსებული განმარტებებით (მ.1[1]):

„კ) შეფასების კომპონენტები - შეფასების ფორმების ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს“;

ლ) შეფასების მეთოდი - საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოსაყენებელი საშუალება/საშუალებები “;

მ) შეფასების კრიტერიუმი - შეფასების მეთოდის საზომი ერთეული, რითაც დგინ-დება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შესაბამისად, ლექციაზე/სემინარზე/სხვ. მხოლოდ ფიზიკური დასწრება არ წარმოადგენს სტუდენტის ცოდნას ან/და უნარს ან/და კომპეტენციებს, რომლის შეფასებით შეიძლება დადგინდეს სწავლის შედეგის მიღწევის დონე;

3) თუ „დასწრება“ მოიაზრებს რაიმე აქტივობას, როგორც ამას უსდ აღნიშნავს, მაშინ მითუმეტეს ლოგიკურია, რომ დასწრების ნაცვლად მიეთითოს შესაბამისი აქტივობა და მისი შეფასების კრიტერიუმები.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულების პოზიცია გაზიარებული არ არის და რეკომენდაცია დარჩა უცვლელი.

5.3. *რეკომენდაცია*: ***უნივერსიტეტში დადგენილი პერიოდულობით ჩატარებული შეფასების შედეგები უნდა იყოს ფორმალიზებული. ამ მიზნით უნივერსიტეტის მიერვე შემუშავებული დოკუმენტის (ფორმების) სახით, რითაც იქნება უზრუნველყოფილი ყველა იმ მექანიზმის გამოყენების დადასტურება, რომლის მიზანშეწონილობა თავად უნივერსიტეტმა დაადგინა, და სხვადასხვა პერიოდში მიღწეული შედეგების დადარების შესაძლებლობა*** **-** უსდ-ს პოზიცია უნივერსიტეტის მიერვე შემუშავებული დოკუმენტის (ფორმების) სახით შეფასების შედეგების ფორმალიზების რეკომენდაციასთან დაკავშირებით გაზიარებულია. რეკომენდაცია გადატანილია „რჩევებში“.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შრომისა და ორგანიზაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) მიზანი და კონცეფცია ეფუძნება, ერთი მხრივ, უნივერსიტეტის მისიასა და ხედვას და, მეორე მხრივ, მსოფლიოში უდიდესი პროფესიული ორგანიზაციის - შრომის/სამრეწველო და ორგანიზაციის ფსიქოლოგთა საზოგადოების (The Society for Industrial and Organizational Psychology - SIOP) - მიერ შემუშავებულ დარგობრივ მახასიათებლებსა და სტანდარტებს, შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგთა მოსამზადებელი სამაგისტრო პროგრამებისთვის განსაზღვრულ რეკომენდაციებს. პროგრამის მიზნებში სრულად არის ასახული, თუ რა ცოდნის, უნარების და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულების მომზადებას ემსახურება ის. პროგრამა ამზადებს მეცნიერ/პრაქტიკოსებს შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის სფეროში, რომელთაც, სამეცნიერო ცოდნაზე დაყრდნობით, შეეძლებათ ორგანიზაციაში ადამიანის ქცევის განმაპირობებელი ფაქტორების, ადამიანსა და ორგანიზაციას შორის ურთიერთქმედების სისტემური ანალიზი და ორგანიზაციაში ადამიანური რესურსის ეფექტურობის პროექტირება. პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, პროგრამის მოთხოვნები შესაბამისობაშია საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში პროგრამების სახელმძღვანელო პრინციპებთან. პროგრამის სასწავლო გეგმა ეფუძნება შრომის/სამრეწველო და ორგანიზაციის ფსიქოლოგების საზოგადოების მიერ რეკომენდებულ სასწავლო სფეროებს, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტებს კომპლექსური სამეცნიერო ცოდნით შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიაში; აძლევს სტუდენტებს სისტემურ ცოდნას შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის თეორიებისა და თეორიული პრინციპების შესახებ, უვითარებს უნარებს, რომლებიც ეხმარება მათ სხვადასხვა სამუშაო გარემოში ამ პრინციპების ეფექტურად გამოყენებაში. სტუდენტები იძენენ ინტერვენციისა და კონსულტაციის უნარს, რათა დაეხმარონ ორგანიზაციებსა და დასაქმებულ პირებს პრობლემების გადაჭრაში, ადამიანურ რესურსების მართვასთან ასოცირებული ორგანიზაციული პროცესების ეფექტურ იმპლემენტაციაში, სამუშაო შედეგების გაუმჯობესებასა და ორგანიზაციულ განვითარებაში. პროგრამის მიზნები, ასევე, პასუხობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, რაც გულისხმობს ცოდნის შექმნას, გადაცემას და გამოყენებას მეცნიერების წინსვლის და საზოგადოებრივი განვითარებისთვის. პროგრამის ფარგლებში დაგროვილი ცოდნა, კვლევები და ექსპერტიზა ხელს შეუწყობს შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის ინტენსიურ განვითარებას საქართველოში, მტკიცებულებაზე დაფუძნებული კვლევების პრაქტიკაში ინტეგრირებას. პროგრამას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საზოგადოების და გამოყენებითი ფსიქოლოგიის სფეროს განვითარებაში. პროგრამა, საქართველოში პირველად ივ. ჯავახიშვილის სახე-

ლობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შემუშავდა და დაინერგა. სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულები არიან ამ სფეროს პირველი პროფესიონალები, რომლებმაც შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის უაღრესად აქტუალურ სფეროში, მაგისტრის ხარისხი საქართველოში მიიღეს და ამ ეტაპზე მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის ცოდნის პოპულარიზაციაში, შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის პრაქტიკაში დანერგვასა და გაუმჯობესებაში, ასევე, ახალი საგანმანათლებლო პროგრამების ფორმირებაში უკვე სხვადასხვა უნივერსიტეტების ბაზაზე.

პროგრამის შეფასების მიზნით ჩატარებულია კვლევა ფოკუს-ჯგუფის, ინტერვიუს და გამოკითხვის მეთოდების გამოყენებით. სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენდნენ სტუდენტები, პროგრამის კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი. კვლევაში აქცენტი გაკეთდა პროგრამის საჭიროებების შესწავლასა და ანალიზზე. ჩატარდა სტუდენტთა 2 ფოკუს-ჯგუფი, აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის ფოკუს-ჯგუფი, ასევე 5 ინტერვიუ დამსაქმებელთან. პარალელურად ჩატარდა პროგრამის კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა, და აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის გამოკითხვაც.

პროგრამის შეფასების ფარგლებში ჩატარდა SWOT ანალიზი, პროგრამის კომპლექსური შეფასების საფუძველზე გამოიკვეთა პროგრამის ძლიერი, ასევე გასაუმჯობესებელი მხარეები. SWOT ანალიზის მიხედვით პროგრამის ძლიერი მხარეებია: საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა; დუალური აქცენტი ფუნდამენტურ, სისტემურ ცოდნასა და პრაქტიკაზე; ბაზრის მოთხოვნებთან სინქრონიზაცია; მაღალი კვალიფიკაციის აკადემიური პერსონალი; სფეროში ინტენსიური პრაქტიკის მქონე პედაგოგები; უახლეს ლიტერატურაზე წვდომა; მაღალი კვლევითი პოტენციალი; აკადემიური თავისუფლება; პროგრამის მაღალი რეპუტაცია და მიმზიდველობა. სუსტი მხარეებია: პრაქტიკული კომპონენტის ინტენსიფიკაციის საჭიროება; ინგლისურენოვანი ლიტერატურის სიჭარბე; სტაჟირების შესაძლებლობათა გამრავალფეროვნების აუცილებლობა. განვითარების შესაძლებლობებია: ეფექტური ხარისხის რეგულაციის მექანიზმების დანერგვა (პროგრამის პერიოდული კომპლექსური შეფასება და შეფასების შედეგების ასახვა პროგრამაში); სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ინტენსიფიკაცია, ადგილობრივ და საერთაშორისო ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნება; ქართულენოვანი სახელმძღვანელოების მომზადება; დონორებთან ურთიერთობა პროგრამის განვითარების მხარდასაჭერად; კვლევით პროექტებში სტუდენტთა ჩართულობის ხელშეწყობა. საფრთხეები: კონკურენციის ზრდა, სხვადასხვა უნივერსიტეტში ანალოგიური პროგრამების შექმნა. პროგრამის თვითშეფასების პროცესში გამოვლენილი საჭიროებები და პროგრამის სრულყოფაზე ორიენტირებული რეკომენდაციები სრულად აისახა ახალ პროგრამაში.

პროგრამის ინტერნაციონალიზაციის განვითარების სამომავლო ხედვის თანახმად, დაგეგმილია შრომის/ სამრეწველო და ორგანიზაციის ფსიქოლოგთა საზოგადოების (The Society for Industrial and Organizational Psychology - SIOP) მიერ შემუშავებულ დარგობრივი მახასიათებლებს/სტანდარტებისა და რეკომენდებულ სასწავლო სფეროებთან მაქსიმალური თავსებადობის მიღწევა. SIOP-ის სახელმძღვანელო პრინციპებთან კურიკულუმის მაქსიმალურად დაახლოებისთვის დაგეგმილია კურიკულუმში რამდენიმე ახალი არჩევითი საგნის დამატება: 1. კრიტერიუმის თეორია და განვითარება (Criterion Theory and Development) (ჯერჯერობით არ არის ერთიანი სახელმძღვანელო ხელმისაწვდომი ამ სასწავლო კურსისთვის. თუმცა, არსებობს კვლევები, სტატიები, რომლებიც ამ საკითხს ეხება. შესაბამისად, ამ კურსის მომზადება გარკვეული გამოწვევაა, თუმცა აუცილებელი ნაბიჯი, იმისთვის რომ პროგრამა სინქრონიზებული იყოს ახალ საერთაშორისო სტანდარტებთან). 2. გადაწყვეტილების მიღების პროცესები (Judgment and Decision-Making). 3. შრომითი მოტივაცია (Work Motivation). შრომისა და ორგანიზაციის სამაგისტრო პროგრამა გეგმავს სტუდენტებს მისცეს სფეროს მაღალი რანგის ექსპერტებთან, პედაგოგებთან და მკვლევრებთან ურთიერთობის შესაძლებლობა. რიგ შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს online ლექციები, რიგ შემთხვევაში კი მათ უნდა მიეცათ პირისპირ კომუნიკაციის შესაძლებლობა. მომავალ სასწავლო წელს და-

გეგმილია დუბლინის უნივერსიტეტის - University College Dublin (UCD) Smurfit Graduate Business School-ის ასოცირებული პროფესორის J.E.-ის ლექციები და workshop-ები სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისთვის. ასევე იგეგმება, საერთაშორისო დონორების მხარდაჭერით, განხორციელებულ კვლევაში მაგისტრთა ჩართულობის ხელშეწყობა; ინგლისურენოვანი კურსების მომზადება და საერთაშორისო უნივერსიტეტებში სტაჟირების ან სწავლის გაგრძელების შესაძლებლობების გაზრდა და სხვ. ინტერვიუს შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამის მიზნები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების, მათ შორის, პოტენციური დამსაქმებელი ორგანიზაციების მიერ (სამაგისტროს კურსდამთავრებულთა პოტენციურ დამსაქმებლებთან ინტერვიუ).
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობა და პროგრამის სილაბუსები; • პროგრამის ხარისხის შეფასება; • თსუ-ის მისია: https://www.tsu.ge/ka/page/%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%91 • თსუ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის N79/2018 დადგენილება „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიის დამტკიცების შესახებ“; https://www.tsu.ge/ka/legalakad/15991 • სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2018-2024); https://www.tsu.ge/data/file_db/PR/2018-2024_93990.pdf; • ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი; • ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, დამსაქმებლებთან.
რეკომენდაციები -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში) -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, სწავლების შედეგები სინქრონიზებულია შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგთა მომზადების SIOP-ის მიერ შემუშავებულ სახელმძღვანელო პრინციპებთან, ბაზრის მოთხოვნებთან და პროგრამის ადმინისტრირების პროცესში აკუმულირებულ გამოცდილებას ითვალისწინებს.

პროგრამის სწავლის შედეგები წარმოდგენილია 12 პუნქტით, რომელიც გადანაწილებულია 3 ჯგუფად: ცოდნა და გაცნობიერება (4), უნარები (5), ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა (3).

პროგრამის სწავლის შედეგები რეალისტური, მიღწევადი და გაზომვადია. თუმცა, არსებობს შეუსაბამობა პროგრამის რუკის დანართში (ასევე, თვითშეფასების ანგარიშში) და პროგრამის კურიკულუმში მითითებულ შედეგებს შორის, მაგალითად, შედეგი „ცოდნა და გაცნობიერება“: ა) <u>პირველი შედეგი</u> - <u>კრიტიკულად აანალიზებს</u> შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის სფეროში უახლეს მიღწევებზე დამყარებულ სისტემურ ცოდნას / <u>ფლობს</u> შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის სფეროში უახლეს მიღწევებზე დამყარებულ სისტემურ ცოდნას; ბ) <u>მესამე შედეგი</u> - <u>კრიტიკულად მსჯელობს</u> კვლევითი სტრატეგიების/მეთოდების, მონაცემთა მართვისა და სტატისტიკური ანალიზის მეთოდების, ტესტის შექმნის მეთოდოლოგიის, პიროვნებისა და ორგანიზაციის შეფასების მეთოდების შესახებ / <u>ფლობს</u> კვლევითი სტრატეგიების/მეთოდების, მონაცემთა მართვისა და სტატისტიკური ანალიზის მეთოდების, ტესტის შექმნის მეთოდოლოგიის პიროვნებისა და ორგანიზაციის შეფასების მეთოდების შესახებ კომპლექსურ ცოდნას.

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს, უმაღლესი განათლების საფეხურის (მაგისტრატურის) აღმწერსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. მითითებული მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის „შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის მაგისტრი / MA in Work and Organizational Psychology“. თუმცა, ეროვნულ კვლაიფიკაციათა ჩარჩოს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად, მისანიჭებელი კვალიფიკაციის ინგლისურენოვანი დასახელება უნდა იყოს „Master of Work and Organizational Psychology“ .აქვე დავძენთ, რომ დასაკორექტირებელი დასახელება, თვითშფასების ანგარიშის გარდა სხვა დოკუმენტებში, მითითებული არ არის.

პროგრამის სწავლის შედეგებში ასახულია ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების უკუკავშირი და SIOP-ის (The Society for Industrial and Organizational Psychology) მიერ რეკომენდებული სწავლის შედეგები - ცოდნა/ერუდიცია, პროფესიული პრაქტიკა, მრავალფეროვნება, პროფესიული ქცევა და ეთიკა. პროგრამის სწავლის შედეგები იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლით და ინტერვიუს შედეგებით გამოიკვეთა, რომ პროგრამის შეფასება მოიცავს ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს. შეფასებისას გამოიყენება როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი შეფასების მექანიზმები, მაგალითად, პროგრამის სხვადასხვა რაოდენობრივი მონაცემების, პროგრამასთან მიმართებაში დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, პროგრამის განმახორციელებლები, დამსაქმებლები) დამოკიდებულებების და საჭიროებების შეფასება-ანალიზი და სხვ. პირდაპირი შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმად მიიჩნევა პროგრამის ათვისების (დადაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის) შეფასება - პროგრამის თითოეული შედეგისთვის დადგენილ სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა და ამ ნიშნულებთან მიღწეული შედეგების დადარება, რითაც შესაძლებელია იმის დადგენა, თუ რამდენად მიაღწიეს კურსდამთავრებულებმა პროგრამით დადგენილ სწავლის შედეგებს და როგორია პროგრამის ათვისების მაჩვენებელი.

უნივერსიტეტში მოქმედი დოკუმენტის „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა“ თანახმად: „პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის განსაზვრული სამიზნე ნიშნული წარმოადგენს მოლოდინს, თუ რა დონით მიაღწევენ სტუდენტები აღნიშნულ სწავლის შედეგს. სამიზნე ნიშნულები განისაზ-

ღვრება წინა გამოცდილების/მონაცემების ანალიზის და/ან სასურველი/მოსალოდნელი შედეგის საფუძველზე". ამავე დოკუმენტის დანართის („პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასება") საფუძველზე აკრედიტაციაზე წარდგენილი პროგრამის თითოეული შედეგისთვის განსაზღვრულია: პროგრამის კომპონენტ(ებ)ი, რომლითაც ხდება შეფასება; შეფასების მეთოდი (პრაქტიკული დავალება, საშინაო დავალება, პრეზენტაცია, შუალედური გამოცდა და/ან დასკვნითი გამოცდა); სამიზნე ნიშნულები (მაგ., კონკრეტული შედეგების შემთხვევაში მაქსიმალური შეფასების 75-100%-ს მიიღებს სტუდენტების 70%; მაქსიმალური შეფასების 75-100%-ს მიიღებს სტუდენტების 80%); მონაცემების შეგროვების დრო (მონაცემები შეგროვდება ყოველი სემესტრის ბოლოს); პასუხისმგებელი პირი (პროგრამის ხელმძღვანელი / კურსის სილაბუსის ავტორი); მიღებული შედეგების ანალიზი (ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური). აქვე აღსანიშნავია, რომ დაგეგმილი სამიზნე ნიშნულების მიღწევის მოლოდინი რეალისტურია და ეყრდნობა როგორც 2020-2021 აკადემიური წლის სასწავლო კურსებში სტუდენტთა აკადემიური მოსწრების, ისე პროგრამის კურსდამთავრებულთა შეფასების შედეგების (ბოლო 5 წლის საშუალოარითმეტიკულ) მაჩვენებლებს: A (100-91 ქულა) = 40%; B (81-90 ქულა) = 36%; C (71-80 ქულა) = 22.5%; D (61-70 ქულა) = 1.5%; E (51-60 ქულა) = 0%. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების განმარტებით, დადგენილ სამიზნე ნიშნულებთან მიღწეული მაჩვენებლების დადარება-ანალიზი მნიშვნელოვანია პროგრამის განვითარებისთვის, რადგან მიღებული შედეგების შესწავლა შესაძლოა გახდეს სხვადასხვა ცვლილებების გამომწვევი გარემოება.

აკრედიტაციის მიზნით წარდგებილ პროგრამის თანდართული „პროგრამის კურიკულუმის რუკა (პროგრამის შედეგების და პროგრამის კომპონენტების შესაბამისობა), პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა და სამიზნე ნიშნულების რუკა („პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასება") ერთობლივად ქმნიან პროგრამის მიზნების, შედეგებისა და მათი მიღწევისთვის აუცილებელი პროგრამის კომპონენტების ურთიერთკავშირის მკაფიო სურათს, პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევის შეფასება კი წარმოადგენს პროგრამის შედეგების (შესაბამისად - მიზნების) მიღწევის დადასტურების ობიექტულ რაოდენობრივ ინდიკატორს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი), პროგრამის კომპონენტების სილაბუსები;
- პროგრამის კურიკულუმის რუკა („პროგრამის შედეგების და კურსების შესაბამისობა");
- „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა";
- „პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა";
- „პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასება";
- პროგრამის კურსდამთავრებულთა შეფასების შედეგების მაჩვენებლები (თვითშეფასების ანგარიშში მითითებული) და 2020-2021 გაზაფხულის სემესტრში მიღებული ქულები (დამატებით წარმოდგენილი);
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებლებთან.

რეკომენდაციები

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- კურიკულუმის რუკის დანართში მითითებული სწავლის შედეგები მოვიდეს შესაბამისობაში პროგრამის კურიკულუმში მითითებულ სწავლის შედეგებთან.
- მიზანშეწონილია ყურადღება მიექცეს მისანიჭებელი კვალიფიკაციის ინგლისურენოვანი დასახელების სწორად (Master of Work and Organizational Psychology) მითითებას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)

-
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგ-რამის შესაბამისო-ბა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას. შესაბამისად, პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს პირი, რომელსაც სახელმწიფოს მიერ აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო ავტორიზებულ დაწესებულებაში მიღებული აქვს ბაკალავრის ხარისხი ფსიქოლოგიაში, ასევე სოციალურ მეცნიერებებში, ბიზნესსა და საჯარო ადმინისტ-რირებაში ან/და აქვს მინიმუმ ერთწლიანი სამუშაო გამოცდილება ადამიანური რესურსის მართვის სფეროში და რომელმაც ამასთან, წარმატებით დაძლია საერთო სამაგისტრო გამოცდები. პროგრამაზე სწავლის მსურველმა უნდა ჩააბაროს საუნივერსიტეტო გამოცდა შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიაში და გამოცდა ინგლისურ ენაში - B2 დონე (ინგლისური ენის გამოცდის წილი 30%-ია, სამაგისტრო გამოცდის წილი - 30%, ხოლო შრო-მისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის გამოცდის ქულის წილი 40%-ს შეადგენს. აპლიკანტ-თა რეიტინგული სიიდან შეირჩევა საუკეთესო შედეგების აპლიკანტები, პროგრამისთვის განსაზღვრული კვოტების შესაბამისად). საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე პროგრა-მით სწავლა შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესების საფუძველზე. პროგრამაზე სწავლის გაგრძელება შეუძლია თსუ-ს ან სხვა უსდ-ს სამაგისტრო პროგრამის სტუდენტს მობილობის გზით, საქართველოს კანონმ-

დებლობის და სასწავლო პროცესის რეგულირების წესის მოთხოვნათა შესაბამისად. პროგრამაზე სწავლის მსურველთა სრულყოფილად ინფორმირების მიზნით, პროგრამაზე მიღების პირობები და მიღებასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია ყოველწლიურად ვრცელდება უნივერსიტეტისა (ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველ-ყოფის სამსახურის) და სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდებ-ზე. უნივერსიტეტის ინფორმაციული მხარდაჭერა მაქსიმალურად უზრუნველყოფს პროგ-რამაზე დაშვების წინაპირობების გამჭვირვალობას, სამართლიანობასა და საჯაროობას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები ფორმულირებულია მოქმედი კანონმდებლობისა და თსუ რეგულაციების შესაბამისად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (აღწერილობა); • საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, პროგრამაზე მიღების მოთხოვნები და შეფასების სისტემა; https://tsu.ge/assets/media/files/54/%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A7%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%97%E1%83%98%20%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%20%E1%83%A4%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A5%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90.pdf • ფაკულტეტის ვებგვერდი: https://tsu.ge/ka/faculty/%E1%83%A4%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A5%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90%20%E1%83%93%E1%83%90%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%AA%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%97%E1%83%90%20%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98/6 • ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, უნი-ვერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან.
რეკომენდაციები -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში) -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☑ <u>**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**</u> ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველ-ყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისო-ბაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა შემუშავებულია უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების წესისა და პროცედურების დაცვით.

პროგრამის მოცულობა შეადგენს 120 ECTS კრედიტს. პროგრამა მოიცავს ოთხ სემესტრს. მათ შორის სამი (I-III სემესტრები) ეთმობა პროგრამის სასწავლო კომპონენტებს (სულ 90 კრედიტი, სემესტრში - 30 კრედიტი), ხოლო მეოთხე სემესტრი - სამაგისტრო ნაშრომს (30 კრედიტი). პროგრამა ემყარება ცალკეულ საგანთა კონცეპტუალურ ერთობლიობას და წარმოდგენილია 3 მოდულად/ჯგუფად: მოდული 1 „შრომა და ორგანიზაცია"; მოდული 2 „კვლევა და შეფასება"; მოდული 3 „პიროვნება, ჯგუფები და მართვა". თითოეული მოდულიდან სტუდენტმა აუცილებლად უნდა აირჩიოს პროგრამით განსაზღვრული კრედიტების დადგენილი რაოდენობა - პირველი მოდულიდან მაგისტრანტმა შეთავაზებული 50 კრედიტიდან მინიმუმ 40 კრედიტი უნდა აიღოს, მეორე მოდულიდან შეთავაზებული 45 კრედიტიდან მინიმუმ 37 კრედიტი უნდა აიღოს, ხოლო მესამე მოდულიდან შემოთავაზებული 23 კრედიტიდან მინიმუმ 13 კრედიტი (სასწავლო გეგმაში მითითებულია სასწავლო კურსების სწავლების სემესტრები). სამივე მოდულში შემავალი ყველა კურსი არჩევითია. ამავე დროს, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 69/ნ ბრძანების დანართი #2 "სწავლის სფეროების კლასიფიკატორი"-ს (მ.6. პ.6) თანახმად, <u>ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები წარმოდგენილი უნდა იყოს სავალდებულო და არჩევითი სახით</u>. ინტერვიუს დროს პროგრამის ხელმძღვანელმა პროგრამაში მხოლოდ არჩევითი კურსების არსებობა ახსნა იმ ფაქტით, რომ მიუხედავად იმისა, რომელ სასწავლო კურს აირჩევს მაგისტრანტი, ის მაინც გავა პროგრამის სწავლის შედეგებზე. ასევე, პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სასწავლო წლის დაწყების წინ მაგისტრანტებთან იმართება საკონსულტაციო შეხვედრა პროგრამის სტრუქტურასა და არჩევით კურსებთან დაკავშირებით, სადაც მაგისტრანტებს აწვდიან ინფორმაციას რომელი კურსები უნდა აირჩიონ და როგორი თანმიმდევრობით; ასევე, არსებობს კურსები, რომელსაც ყველა მაგისტრანტი ირჩევს. მაგისტრანტებმა იგივე აღნიშნეს ინტერვიუს დროს. ფაქტობრივად, პროგრამაში არსებობს სასწავლო კურსები, რომლებიც სავალდებულოა (თუმცა, სტატუსი მითითებულია როგორც არჩევითი). ზემოთ აღნიშნულიდან მიგვაჩნია, რომ უნდა განისაზღვროს სავალდებულო სტატუსი იმ სასწავლო კურსებისთვის, რომელთა შესწავლა ქმნის პროგრამის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელ პირობას.

პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლის საფეხურს, ასევე, შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს (თუ გავითვალისწინებთ შენიშვნას სავალდებულო კურსებთან დაკავშირებით). პროგრამის სასწავლო გეგმაში ასახულია გარე შეფასებისას გამოთქმული ყველა არგუმენტირებული რეკომენდაცია. პროგრამის სტუდენტთა უდიდესი ნაწილი დასაქმებულია სხვადასხვა ორგანიზაციაში ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით. აღნიშნულის გათვალისწინებით, პროგრამა გამდიდრდა ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტისთვის აუცილებელი პრაქტიკული (მცირეკრედიტიანი) სასწავლო კურსებით. პროგრამას დაემატა HR ანალიტიკა, ექსელის სპეცკურსი, პროექტების მენეჯმენტი, სტრატეგიული ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, კომპენსაცია, ზოგადი მენეჯმენტი.

პროგრამის აღწერილობისა და სასწავლო კურსების სილაბუსების განხილვით დასტურდება, რომ პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს დარგის უახლეს მიღწევებს, სასწავლო კურსების შესწავლისას გამოყენებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა ეყრდნობა დარგში არსებულ უახლეს კვლევებსა და წყაროებს.

ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა, რომ პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყო ყველა დაინტრესებული მხარე: პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები და კურსდამთავრებულები, ასევე, გათვალისწინებულ იქნა დამსაქმებელთა რეკომენდაციები და მათი გამოკითხვის შედეგები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის N100/2019 დადგენილება „სსიპ–ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო და დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების ინსტრუქცია და პროცედურის დამტკიცების შესახებ"" https://www.tsu.ge/ka/legalakad/15842
- სამაგისტრო პროგრამის აღწერილობა; პროგრამის კომპონენტების სილაბუსები;
- დარგობრივი კომიტეტის სხდომის ოქმები;
- პროგრამის სწავლის მიზნებისა და შედეგების რუკა, კურიკულუმის რუკა, სწავლის შედეგების შეფასების რუკა;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებებთან.

რეკომენდაციები

- განისაზღვროს სავალდებულო სტატუსი იმ სასწავლო კურსებისთვის, რომელთა შესწავლა ქმნის პროგრამის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელ პირობას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

–

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)

–

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

–

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამის სასწავლო კურსების შედეგები ფორმულირებულია მაგისტრატურის დონის აღმწერების საფუძველზე და შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. პროგრამის უპირატესობაა - შეთავაზებული კურსების მრავალფეროვნება. ასევე მისასალმებელია, რომ სასწავლო კურსების ლექტორები - დარგის პრაქტიკოსები არიან, რაც მნიშვნელოვანია, როგორც პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული უნარ-ჩვევების განსავითარებლად, ასევე სტუდენტების მომავალი დასაქმების კუთხითაც.

სასწავლო კურსების უმრავლესობა 5 კრედიტიანია, ასევე, არსებობს 3 ასევე 4-კრედიტიანი სასწავლო კურსებიც (მაგ., „მაიკროსოფთ ექსელი - სპეც.კურსი" 3 კრედიტიანია (საკონტაქტო - 30 სთ.; დამოუკიდებელი სთ - 45), სასწავლო კურსი „რეგრესიული და ფაქტორული

ანალიზი“ 4-კრედიტიანი (საკონტაქტო - 45 სთ, დამოუკიდებელი სთ - 55). სასწავლო კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა (ასევე, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შესაბამისობაშია სასწავლო კურსის სირთულესთან და მისაღწევ სწავლის შედეგებთან.
სასწავლო კურსების სილაბუსების შესწავლამ აჩვენა, რომ თითოეულ სილაბუსში აღწერილია სასწავლო კურსის შინაარსი, დაშვების წინაპირობები, მიზნები, სწავლის შედეგები, სწავლების მეთოდები, შეფასების მეთოდები, კომპონენტები და კრიტერიუმები, და სხვ..
სილაბუსებში მითითებულია სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო თანამედროვე, სავალდებულო ლიტერატურა და რიდერები, რომლებიც შეესაბამება სფეროს აქტუალურ მიღწევებს, მაგ., სასწავლო კურსისთვის სტრატეგიული კომპენსაცია HRM-ში, მითითებულია სავალდებულო ლიტერატურა DeVaro J., 2020, Strategic Compensation and Talent Management - Lessons for Managers, Cambridge University Press, DOI: 10.1017/9781108861458.
მითითებული ლიტერატურა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის, ელექტრონული სწავლების ვებგვერდზე (e-learning.tsu.ge), მათი ელექტრონული ვერსია განთავსებულია ბიბლიოთეკის პორტალზე. ასევე, მაგისტრანტებისთვის ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის სამეცნიერო ელექტრონული ბაზები (EBSCOHost, Cambridge Journals Online, Oxford Journals Collection, Encyclopaedia Britannica, BioOne, Royal Society Journals Collection, IMF eLibrary, Massachusetts Medical Society, Pediatric Neurology Briefs Publishers, SAGE Publications, Jstor, EconLit, EconBiz, IOP Publishing, Elsevier Science Direct, Web of Science და სხვ) როგორც საუნივერსიტეტო სივრცეში, ასევე უნივერსიტეტის მიღმა (მათთვის, ვისაც აქვს უნივერსიტეტის ელფოსტა). უნივერსიტეტში სწავლისა და კვლევის პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით გამოიყენება ტექსტის ამომცნობი ელექტრონული პროგრამა Turnitin, რომელიც ემსახურება პლაგიატის პრევენციას. სტუდენტებს აქვთ საშუალება, ისარგებლონ ელექტრონული სწავლების პორტალი – Moodle-ით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა; პროგრამის კომპონენტების სილაბუსები;
- პროგრამის სწავლის მიზნებისა და შედეგების რუკა, კურიკულუმის რუკა, სწავლის შედეგების შეფასების რუკა;
- აკადემიური საბჭოს 2020 წლის 13 მაისის N37 დადგენილება სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის დოკუმენტი https://www.tsu.ge/ka/legalakad/15638
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსადმთავრებულებთან.

რეკომენდაციები

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☑ <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი პროგრამა, სწავლის შედეგების გათვალისწინებით, უზრუნველყოფს სტუ-დენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას, რაც თავის მხრივ, წარმატებული პროფესიული საქმიანობის წინაპირობაა. პროგრამის საკვანძო კომპონენტია სწავლების, კვლევისა და პრაქტიკის ინტეგრაცია. მიღე-ბული რეკომენდაციების შესაბამისად, სასწავლო კურსებში არსებითად გაიზარდა პრაქტი-კული სამუშაოს წილი, ასევე, პროგრამას დაემატა პრაქტიკული შინაარსის კურსები: HR ანალიტიკა, ექსელის სპეცკურსი (რაც განსაკუთრებით სჭირდებათ ადამიანური რესურსის მართვის სფეროში დასაქმებულებს), პროექტების მართვა, კომპენსაცია და სხვა. სუპერვი-ზიით შეძენილ გამოცდილებასა და საველე კვლევებზე (Supervised Experience and Field Research) ორიენტირებული პროექტები, რომელიც ინტეგრირებული სასწავლო კურსების უმეტეს ნაწილში, მიზნად ისახავს პრაქტიკული უნარების განვითარებას. მაგისტრანტებს სასწავლო კურსების უმეტესობაში უწევს კვლევითი საქმიანობა პროფესორის მენტორობით და/ან დამოუკიდებლად დაგეგმვა, კვლევის წარმართვა, საკვლევი სფეროსთვის ადეკვატუ-რი კვლევითი სტრატეგიის, მეთოდის შერჩევა/გამოყენება და მოპოვებულ მონაცემთა ანა-ლიზი და ინტერპრეტაცია. ამასთან, ამ უნარების აქტუალიზაციაზე მიმართულია პროგრა-მის მოდული „კვლევა და შეფასება“. ამ მოდულში შემავალი სასწავლო კურსები (ორგანი-ზაციული კვლევის მეთოდოლოგია, HR ანალიტიკა, რეგრესიული და ფაქტორული ანალი-ზი, ფსიქომეტრია, პიროვნების შეფასების მეთოდები და სხვა) სრულად ფოკუსირებულია სტუდენტთა კვლევითი პოტენციალის განვითარებაზე. პროგრამა, ასევე, ორიენტირებუ-ლია ინოვაციური უნარების განვითარებაზე. სტუდენტებს სხვადასხვა სასწავლო კურსების ფარგლებში შეძენილი ცოდნის საფუძველზე ეძლევათ შემოქმედებითი იდეების დემონსტრირების შესაძლებლობა. რადგან პროგრამაში ჩართულ სტუდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა სწავლის პარალელურად მუშაობს, მათი პრაქტიკული საჭიროებები, სამუშაო ამოცანები და გამოწვევები ხდება განხილვისა და დისკუსიის საგანი სწავლების პროცესში. ეს არის მოდიფიცირებული ვერსია სწავლა-სწავლების მეთოდისა - ტრენინგი სამუშაო ადგილზე (On-the-Job-Training), რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტის შესაძლებლობებისა და უნარების განვითარებას პრაქტიკით, პროფესიული ამოცანების გადაწყვეტით იმ ორგანიზაციული გარემოში, სადაც სტუდენტი უწევს მუშაობა. სხვადასხვა სასწავლო კურსის ფარგლებში მოსამზადებელი რეფერატების, კვლევითი პროექტების, პრეზენტაციების, დისკუსიებისა და სხვადასხვა პრაქტიკული სავარჯიშოების ფარგლებში სტუდენტებს უვითარდებათ ინფორმაციის შეგროვებისა და ორგანიზების უნა-რი; დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის შედეგების პრეზენტაციის უნარი; თემატურ პოლემიკაში ჩართვისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი; ფორმატის, მოცულო-ბისა და დედლაინის გათვალისწინებით მასალათა მომზადების უნარი; ციფრული ტექნო-ლოგიებისა და აუდიო-ვიზუალური საშუალებების გამოყენების უნარი. პროგრამის კურიკულუმი, სწავლების მეთოდოლოგია და სასწავლო მეთოდები ხელს უწყობს სამუშაო ადგილზე ინდივიდუალური განსხვავებების როლის, მრავლფეროვნების მნიშვნელობის გაცნობიერებას, სამუშაო ძალის კულტურული მრავალფეროვნების და ინკ-ლუზიის მნიშვნელობის გააზრებას. თანამშრომლური პროფესიული ურთიერთობების და-მყარების უნარი ყველასთან, განურჩევლად, ასაკისა, სოციო-ეკონომიკური სტატუსისა, ეთ-ნიკური წარმომავლობისა, განათლებისა, სამუშაო როლებისა, სექსუალური ორიენტაციისა, პოლიტიკური შეხედულებებისა და სხვა.

სამაგისტრო ნაშრომს სტუდენტი ასრულებს ბოლო სემესტრში ხელმძღვანელის სუპერვიზორობით. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობას ახორციელებენ კვალიფიციური პირები, რაც დასტურდება მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით. სამაგისტრო ნაშრომის თემის შერჩევისას ხდება სტუდენტის კვლევითი ინტერესების, პროგრამის კვლევითი მიმართულებებისა და პოტენციური ხელმძღვანელის კვლევითი გამოცდილების გათვალისწინება. სტუდენტთა სამაგისტრო ნაშრომები ფასდება არა მარტო აკადემიური სტანდარტების შესაბამისად, არამედ, მათი გამოყენებითი, პრაქტიკული ღირებულების საფუძველზეც. სტუდენტებს, სურვილის შემთხვევაში, აქვთ შესაძლებლობა სტაჟირება/პრაქტიკა გაიარონ HR საკონსულტაციო ორგანიზაციაში ადამიანური რესურსის მენეჯმენტის ცენტრში -PMC, სადაზღვევო კომპანიაში GPI, მაღაზიათა ქსელ კარფურსა, კომპანიაში Beeline.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სამაგისტრო პროგრამა; პროგრამის სილაბუსები; • პროგრამის სწავლის მიზნებისა და შედეგების რუკა; • ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან.
რეკომენდაციები -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში) -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☑ <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამით სწავლება ხორციელდება ლექციების, სემინარების და პრაქტიკული მუშაობის ფორმატში ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით. ეს მეთოდებია: ახსნა–განმარტებითი მეთოდი, დისკუსია/დებატები, გონებრივი იერიში (Brain storming), გამოცდილებით (experiential) სწავლება, თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, შემთხვევის ანალიზი (Case study), როლური და სიტუაციური თამაშები, ინდუქციური და დედუქციური მეთოდები, პრაქტიკული სამუშაო, ელექტრონული სწავლება (E-learning) და სხვა. სწავლება-სწავლის მეთოდები ინდივიდუალურადაა შერჩეული თითოეული სასწავლო კურსისთვის. მაგ., კურსი „შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის აქტუალური პრობლემები“ იყენებს ისეთ სწავლება-სწავლის მეთოდებს, როგორიცაა: ფორმალური საკურსო მუშაობა (Formal Course Work); დამოუკიდებლად კითხვა/კვლევა; კვლევაში მონაწილეობის ხელშეწყობა (Involvement in Funded Research) - სააუდიტორიო ინსტრუქციები დონორების, ფონდების შესახებ, რომლებიც მხარს უჭერენ შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის სფეროში კვლევებს; სტუდენტები სწავლობენ

როგორ უნდა მოამზადონ საპროექტო წინადადებები, კონკურენტული კვლევითი წინადადებები, როგორ უნდა ვმართოთ კვლევითი პროექტი, როგორ უნდა შეფასდეს პროგრესი და შედეგები. ელექტრონული სწავლება (e-learning).
სწავლების მეთოდები შეესაბამება მაგისტრატურის საფეხურს და სასწავლო კურსების შინაარსს. შერჩეული სწავლების მეთოდების გამოყენებით შესაძლებელია, როგორც კონკრეტული სასწავლო კურსის, ისე პროგრამის შედეგების მიღწევა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა; პროგრამის სილაბუსები;
- პროგრამის სწავლის მიზნებისა და შედეგების რუკა;
- თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება №68/2018 - ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ; https://www.tsu.ge/ka/legalakad/15977
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან.

რეკომენდაციები

–

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

–

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)

–

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

–

შეფასება

☑ <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სტუდენტთა შეფასების სისტემის საფუძველია „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანება და უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი.
პროგრამის სასწავლო კომპონენტში შეფასების სისტემა ითვალისწინებს: 1) ხუთი სახის დადებით შეფასებას: (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულ; (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა; 2) ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას: (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. სტუდენტის შეფასება მოიცავს 2 ფორმას - შუალედურს და დასკვნითს; დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებების მინიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 21 ქულა.
სამაგისტრო ნაშრომის შეფასების წესი განსაზღვრულია „სამაგისტრო ნაშრომის დაცვის დებულებაში“. სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით.

სამაგისტრო ნაშრომი ფასდება 100-ქულიანი სისტემით. შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას: (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. „სამაგისტრო ნაშრომის დაცვის დებულების" (პ. 11.7) მიხედვით, „სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია". აღნიშნული დანაწესი თანხვედრაში უნდა მოვიდეს „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებასთან, რომლის თანახმად F შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იმავე ნაშრომის წარდგენის უფლებას..

პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებიდან იკვეთება, რომ, რიგ შემთხვევაში, შეფასების ფორმად გამოიყენება „დასწრება/აქტიურობა", მაგალითად:

<u>„დასწრება/აქტიურობა" ფასდება მაქსიმუმ 10 ქულით,</u> კერძოდ: 10 ქულა – 15,14 დასწრება/აქტიურობა; 9 ქულა – 13, 12 დასწრება/აქტიურობა; 8 ქულა – 11, 10 დასწრება/აქტიურობა; 7 ქულა – 9, 8 დასწრება/აქტიურობა; 6 ქულა – 7, 6 დასწრება/აქტიურობა; 5 ქულა —5 დასწრება/აქტიურობა; 4 ქულა – 4 დასწრება/აქტიურობა; 3 ქულა – 3 დასწრება/აქტიურობა; 2 ქულა – 2 დასწრება/აქტიურობა; 1 ქულა – 1 დასწრება/აქტიურობა.

<u>„დასწრება და აქტივობა" – 10 ქულა,</u> კერძოდ: 15, 14 დასწრება - 10 ქულა; 13, 12 დასწრება - 9 ქულა; 11, 10 დასწრება – 8 ქულა; 9, 8 დასწრება - 7 ქულა; 7, 6 დასწრება - 6 ქულა; 5 დასწრება – 5 ქულა; 4 დასწრება - 4 ქულა; 3 დასწრება - 3 ქულა; 2 დასწრება - 2 ქულა; 1 დასწრება - 1 ქულა.

სილაბუსებში, სადაც ამგვარი შეფასების ფორმაა მითითებული, შესაძლოა სტუდენტისთვის გაუგებარი იყოს რა სახის აქტიურობა იგულისხმება (პირობითად, კითხვებზე პასუხის გაცემა, დისკუსიაში მონაწილეობის მიღება და ა.შ.). ამავდროულად, არ არის განსაზღვრული აქტივობა რა კრიტერიუმებით ფასდება (პირობითად, სწორად უპასუხა შეკითხვას, ნაწილობრივ სწორად უპასუხა და ა.შ.). ასევე, აღსანიშნავია, რომ „დასწრება" შეფასების კომპონენტად ვერ ჩაითვლება, რადგან მხოლოდ დასწრებით შეუძლებელია სწავლის შედეგის მიღწევა და შეფასება, როგორც ამას ადგენს „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ" განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანება (მ. 4, პ.19). შესაბამისად, შეფასების მეთოდად მითითებულია „დასწრება" უნდა ჩანაცვლდეს შეფასების ისეთი მეთოდით, რომლითაც იქნება შესაძლებელი სტუდენტის მიღწევების შეფასება. ასევე, სტუდენტის შეფასების გამჭვირვალობისათვის დასაზუსტებელია, რას მოიაზრებს „აქტივობაში" როგორც შეფასების მეთოდი და მისათითებელია შეფასების კრიტერიუმები.

უნივერსიტეტში მოქმედებს „გამოცდების ჩატარების ინსტრუქცია", სადაც მთელ რიგ საგამოცდო პროცედურებთან ერთად აღწერილია გასაჩივრების წესი, რომლის მიხედვით სტუდენტი უფლებამოსილია შედეგის გამოქვეყნებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში მიმართოს საგამოცდო ცენტრს (ელექტრონული ბაზის საშუალებით – sms.tsu.ge) და მოითხოვოს ნაშრომის გაცნობა და შედეგების გადასინჯვა, საგამოცდო ცენტრი კი უზრუნველყოფს ნაშრომის გაგზავნას უფლებამოსილ თანამშრომლებთან, შემდეგ კი გადაეცემა სააპელაციო კომისიას/ლექტორს. აღნიშნული წესები გამოქვეყნებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ ისინი ფლობენ ინფორმაციას გასაჩივრების მექანიზმის შესახებ. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სემესტრულად ახდენს შედეგების ანალიზს, ახორციელებს მონაცემთა შეგროვებას პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასების მეშვეობით.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს „აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის დოკუმენტი". პლაგიატის ამოსაცნობად გამოიყენება ელექტრონული პროგრამა Turnitin. გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ სტუდენტებმა იციან აკადემიური კეთილსინდისიერების

დარღვევის შედეგად წარმოშობილი სავარაუდო შედეგები, ფლობენ ინფორმაციას პლაგიატის ამომცნობ სისტემაზე, თუმცა გაუჭირდათ რიგ მნიშვნელოვან დეტალებზე საუბარი, მაგალითად, დასაშვები პლაგიატის პროცენტის დასახელება. მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტუდენტის სრული ინფორმირება აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტის დაცვასთან დაკავშირებით.

ინფორმაცია აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების არგუმენტირებულ პასუხში მითითებული პოზიციის განხილვის შედეგების შესახებ

(რეკომენდაცია 1.) „სამაგისტრო ნაშრომის დაცვის დებულების“ (პ.11.7) ჩანაწერი „სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია“, უნდა მოვიდეს შესაბამისობაში „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებასთან;

(უსდ-ს პოზიცია) ვხელმძღვანელობთ თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი სამაგისტრო პროექტი/ნაშრომის წარდგენის, დაცვისა და შეფასების პროცედურით:

მუხლი 9.3. სამაგისტრო ნაშრომი წინასწარ გადის საჯარო განხილვას, რომელსაც ესწრება კომისია,

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელის, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელისა და სხვა პედაგოგების სახით.

იმ შემთხვევაში, თუ განხილვაზე წარდგენილი ნაშრომი შეფასდება უარყოფითად, მისი დაცვაზე წარდგენა არ ხდება .

მუხლი 11.7. სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია.

<u>**ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია:**</u> რეკომენდაციაში არ არის საუბარი ნაშრომის დაცვის პროცედურებზე, ამ პროცედურების ან კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევის ფაქტებზე. რეკომენდაცია ეხება დებულების კონკრეტული ჩანაწერის: <u>„სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია“</u> შეუსაბამობაზე „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებასთან (მ. 4, პ.19), რომლის თანახმად <u>F შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იმავე ნაშრომის წარდგენის უფლებას</u>. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულების პოზიცია გაზიარებული არ არის. მეტი სიცხადისთვის *რეკომენდაცია ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „სამაგისტრო ნაშრომის დაცვის დებულებაში“ (მ.11, პ. 11.7) არსებული ჩანაწერი „სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია“ უნდა მოვიდეს შესაბამისობაში „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებასთან (მ.4, პ.19), რომლის თანახმად F შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იმავე ნაშრომის წარდგენის უფლებას“.*

(რეკომენდაცია 2.) შეფასების მეთოდად მითითებული „დასწრება“ ჩანაცვლ¬დეს შეფასების ისეთი მე¬თო-დით, რომლითაც იქ¬ნე¬ბა შესაძლებელი სტუდენტის მიღწევების შე¬ფა¬სება.

სტუდენტის შეფასების გამჭვირვალობისათვის, დასაზუსტებელია, რას მოიაზრება „აქტივობაში“ როგორც შეფასების მეთოდი და მისათითებელია შეფასების კრიტერიუმები.

(უსდ-ს პოზიცია) სილაბუსებში დასწრება/აქტივობის კომპონენტი ერთადაა წარმოდგენილი. სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი კურსების უმრავლესობა, მოიცავს ინტერაქტიულ მეთოდებს, ქეისების განხილვას, დისკუსიებს და ა.შ., სადაც თვალსაჩინოა სტუდენტის ჩართულობა და აქტივობა. ამ კომპონენტის წილი

მთლიან შეფასებაში 10%-ია; ვფიქრობთ, ის წაახალისებს სტუდენტს დაესწროს ლექცია/სემინარს, იყოს უფრო აქტიურად ჩართული განხილვებში, დასვას შეკითხვები, შეასრულოს პრაქტიკული სავარჯიშოები და ა.შ. ყველა ლექტორი პირველივე ლექციაზე გააცნობს სტუდენტს ამ კომპონენტში შეფასების პრინციპს, და სტუდენტთა მოსაზრებების გათვალიწინებითა და ჩართულობით დააზუსტებს შეფასების სქემას ამ კომპონენტისთვის. წესების შემუშავებაში სტუდენტთა თანამონაწილეობა შექმნის ამ წესების ზედმიწევნით დაცვის მოტივაციას.

<u>ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია:</u> რეკომენდაცია გამომდინარეობს შემდეგიდან:

1) „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებაში არსებული განმარტებებით (მ.1[1]):

„კ) <u>შეფასების კომპონენტები</u> - შეფასების ფორმების ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს <u>სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების</u> ხერხს/ხერხებს *“;*

ლ) <u>შეფასების მეთოდი</u> - საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში განსაზღვრული <u>სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად</u> გამოსაყენებელი საშუალება/საშუალებები “;

მ) <u>შეფასების კრიტერიუმი</u> - შეფასების მეთოდის საზომი ერთეული, რითაც <u>დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე</u>.

შესაბამისად, ლექციაზე/სემინარზე/სხვ. მხოლოდ ფიზიკური დასწრება არ წარმოადგენს <u>სტუდენტის ცოდნას ან/და უნარს ან/და კომპეტენციებს, რომლის შეფასებით შეიძლება დადგინდეს სწავლის შედეგის მიღწევის დონე;</u>

3) თუ „დასწრება“ მოიაზრებს რაიმე აქტივობას, როგორც ამას უსდ აღნიშნავს, მაშინ მითუმეტეს ლოგიკურია, რომ დასწრების ნაცვლად მიეთითოს შესაბამისი აქტივობა და მისი შეფასების კრიტერიუმები.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულების პოზიცია გაზიარებული არ არის და რეკომენდაცია დარჩა უცვლელი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის კომპონენტების სილაბუსები;
- „გამოცდების ჩატარების ინსტრუქცია“;
- „სამაგისტრო ნაშრომის დაცვის დებულება“;
- „პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასება“;
- „აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის დოკუმენტი“;
- მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან, ადმინისტრაციასთან, სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები

- „სამაგისტრო ნაშრომის დაცვის დებულებაში“ (მ.11, პ. 11.7) არსებული ჩანაწერი „სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია“ უნდა მოვიდეს შესაბამისობაში „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებასთან (მ.4, პ.19), რომლის თანახმად F შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იმავე ნაშრომის წარდგენის უფლებას;
- შეფასების მეთოდად მითითებული „დასწრება“ ჩანაცვლდეს შეფასების ისეთი მეთოდით, რომლითაც იქნება შესაძლებელი სტუდენტის მიღწევების შეფასება.
- სტუდენტის შეფასების გამჭვირვალობისათვის, დასაზუსტებელია, რას მოიაზრებს „აქტივობაში“ როგორც შეფასების მეთოდი და მისათითებელია შეფასების კრიტერიუმები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტუდენტის სრული ინფორმირება აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვასთან დაკავშირებით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში) -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის შესახებ ინფორმაციას ეცნობიან უნივერსიტეტის ვებგვერდზე tsu.ge და lms.tsu.ge-ზე, საკუთარ პროფილზე მიღებული შეტყობინებების მეშვეობით. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებულია სტუდენტთათვის საჭირო ყველა ინფორმაცია, იურიდიული ცნობარი, სასწავლო პროცესებთან დაკავშირებული საკითხების დეტალური დებულებები და ა.შ. ვებგვერდზე გამოქვეყნებულია სტუდენტთა გზამკვლევი, რომელშიც აღწერილია სტუდენტის უფლება-მოვალეობები, რეგისტრაციის წესები, გამოცდებთან დაკავშირებული საკითხები, მობილობა, შეფასების სისტემა. წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სხვადასხვა სტრუქტურები (მათ შორის, სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტი, საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი), ასევე ფაკულტეტების სასწავლო პროცესის მართვისა და სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურები კოორდინირებული მუშაობის საფუძველზე უზრუნველყოფენ სასწავლო პროცესის ორგანიზებას, სტუდენტთა სასწავლო პროცესის მართვის სისტემის ეტაპობრივ სრულყოფას და სტუდენტთა ინფორმირებას სას-

წავლო პროცესთან დაკავშირებით.
უნივერსიტეტში მოქმედებს სასწავლი პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა - lms.tsu.ge, რომლის საშუალებით სტუდენტმა შეიძლება მიიღოს შემდეგი მომსახურება:

- განახორციელოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმირება - სტუდენტებს საშუალება ეძლევს თავიანთი „პროფილის“ მეშვეობით შეადგინონ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სასწავლო კურსების წინაპირობების გათვალისწინებით;
- სასწავლო ბარათში ნახოს არჩეული საგნები, მიღებული შეფასებები და მინიჭებული კრედიტები;
- გაეცნოს ფაკულტეტზე არსებულ საგანმანათლებლო პროგრამებს, სასწავლო კურსების ჩამონათვალს, სილაბუსებს, სასწავლო და საგამოცდო ცხრილებს;
- სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე აწარმოოს მიმოწერა სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტთან/ფაკულტეტის შესაბამის სამსახურთან, ხოლო გამოცდებთან დაკავშირებულ საკითხებზე - საგამოცდო ცენტრთან.

აგრეთვე, სისტემა სტუდენტებს საშუალებას აძლევს გაეცნონ მათ მიერ გავლილ სასწავლო კურსებში მიღებულ შეფასებებს, მიიღონ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აქტუალური ინფორმაცია და სხვ.
სტუდენტს პროგრამის საკვალიფიკაციო აღწერილობის და სტრუქტურის – სასწავლო დისციპლინათა გამოცხადების სემესტრული ბადის, ამ საგნებზე დაშვების წინაპირობების, მათი კვირეული სააუდიტორიო დატვირთვის შესახებ პირველადი ინფორმაცია შეუძლია მოიპოვოს უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ვებგვერდზე (სასწავლო პროგრამებში), სადაც მითითებულია, ასევე. პროგრამის ხელმძღვანელი როგორც საკონტაქტო პირი.
დოკუმენტის „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო და დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების ინსტრუქცია და პროცედურა“ თანახმად, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის პედაგოგიურ დატვირთვაში გათვალისწინებულია ყოველკვირეული საკონსულტაციო საათების ჩატარება. სტუდენტებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ აკადემიურ თუ მოწვეულ პერსონალთან კომუნიკაციის, კონსულტაციის შესაძლებლობა თავისუფლად აქვთ, თუმცა არ ფლობენ ინფორმაციას განსაზღვრული საკონსულტაციო საათებთან დაკავშირებით. სასურველია მოხდეს სტუდენტთა ინფორმირება ყოველკვირეული საკონსულტაციო საათების შესახებ.
უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრი. უნივერსიტეტის წარმომადგენლები აქტიურად თანამშრომლობენ პოტენციურ დამსაქმებლებთან. მათთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ამ პროგრამის კურსდამთავრებულები, სასურველი კადრები არიან დამსაქმებლებისთვის. აღსანიშნავია გასაუბრებისას წარმოდგენილი კურსდამთავრებულთა პროფესიულ სფეროში დასაქმების მაღალი მაჩვენებელი.
უნივერისტეტს სხვადასხვა ორგანიზაციებთან გაფორმებული აქვს მემორანდუმები, რომლებიც გულისხმობს ორმხრივ თანამშრომლობას სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით. სტუდენტები დასაქმების და სტაჟირების შესახებ ინფორმაციას იღებენ ელ.ფოსტის მეშვეობით, აგრეთვე, ელ.ფოსტის მეშვეობით იღებენ ინფორმაციას კონფერენციების, საჯარო ლექციების, სხვადასხვა კვლევითი პროექტის შესახებ.
საყურადღებოა ინტერნაციონალიზაციის საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტი პროგრამის სტუდენტებს სთავაზობს გარკვეულ გაცვლით პროგრამებს, სტუდენტებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ამ შემოთავაზებებით დიდად არ ინტერესდებიან. აგრეთვე, მცირე აქტივობაა საერთაშორისო კონფერენციებში, კვლევით პროექტებში ჩართულობის მხრივ. სტუდენტები ამის ძირითად მიზეზად დასაქმებას და დროის უქონლობაა ასახელებდნენ, აგრეთვე, აღნიშნავდნენ, რომ პრაქტიკული გამოცდილების მიღება მათთვის ბევრად მისაღებია. სასურველია, უნივერსიტეტმა/ფაკულტეტმა უზრუნველყოს საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების, კონფერენციების, საჯარო ლექციების, კვლევითი პროექტების და ა.შ. სათანადო პოპულარიზაცია პროგრამის სტუდენტთა ინტერნაციონალიზაციის

საკითხით დაინტერესების მიზნით. სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა, აკადემიური მოსწრება, მათ მიერ კურსის შეფასება ხორციელდება სემესტრულად სტუდენტების მიერ ელექტრონული კითხვარის შევსების მეშვეობით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის დებულება; https://tsu.ge/data/file_db/iuridiuli_cnobari/saswavlos_debuleba.pdf; • თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 26 თებერვლის 40/02-01 ბრძანება „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ https://old.tsu.ge/ge/juridical/orders/r09GB1nmy6bktNC/?p=1; • თსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრის დებულება; https://www.tsu.ge/ka/student-work; • უნივერსიტეტის წესდება; • ინტერვიუ მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან, ადმინისტრაციასთან, სტუდენ-ტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.
რეკომენდაციები: –
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია გაუმჯობესდეს სტუდენტთა ინფორმირება ყოველკვირეული საკონსულ-ტაციო საათების შესახებ; • სასურველია, უნივერსიტეტმა/ფაკულტეტმა უზრუნველყოს საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების, კონფერენციების, საჯარო ლექციების, კვლევითი პროექტების და ა.შ. სათანადო პოპულარიზაცია პროგრამის სტუდენტთა ინტერნაციონალიზაციის საკით-ხით დაინტერესების მიზნით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში) –
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) –
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტში სამაგისტრო ნაშრომის დაცვასა და ხელმძღვანელობასთან დაკავშირებუ-ლი საკითხები რეგულირდება დოკუმენტით „სამაგისტრო პროექტი/ნაშრომის წარდგენის, დაცვისა და შეფასების პროცედურა“. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს უნივერსიტეტის აკადემიური თა-ნამდებობის პირი (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი), ემე-რიტუს–პროფესორი, უნივერსიტეტის სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ–თა-ნამშრომელი, დოქტორის ხარისხის მქონე მოწვეული პირი. ხელმძღვანელი ვალდებულია, თითოეულ სტუდენტს დაეხმაროს ნაშრომზე მუშაობის პროცესში, კერძოდ:

- გამართოს რეგულარული პირისპირ და/ან ონლაინ შეხვედრები სტუდენტთან ან საჭიროებისამებრ სტუდენტების ჯგუფთან;
- მიაწოდოს სტუდენტს ინფორმაცია ნაშრომის მომზადების ზოგადი რეგულაციების შესახებ, მათ შორის ინფორმაცია ჯანმრთელობისა და უსაფრთხობის წესებთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაკავშირებით, ასევე აკადემიური ეთიკის, მონაცემთა დაცვის, პლაგიატის შესახებ, აუხსნას სტუდენტს ნაშრომის მომზადების, წარდგენისა და შეფასებასთან დაკავშირებული პროცედურები;
- გაუწიოს კონსულტაცია კვლევის კონცეფციის შემუშავების პროცესში (მაგ.: საკვლევი საკითხის ჩამოყალიბება, კვლევის დიზაინის შემუშავება, კვლევის მეთოდების განსაზღვრა და სხვ.);
- დაეხმაროს სტუდენტს ნაშრომის მომზადების დროს წამოჭრილი პრობლემების გადაჭრაში;
- დაეხმაროს სტუდენტს ვადების განსაზღვრასა და დროის ეფექტიანად განაწილებაში, ნაშრომის შესრულების ძირითადი ეტაპების დაგეგმვაში, ნაშრომის სტრუქტურის განსაზღვრაში, კვლევისათვის საჭირო მონაცემთა მოპოვებასა და ანალიზის დაგეგმვაში.

სტუდენტები კმაყოფილებას გამოთქვამენ ხელმძღვანელებთან კონსულტაციების, მათ მიერ დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების შესრულების გამო.

სურვილის შემთხვევაში, კურდამთავრებულებს სამაგისტრო ნაშრომების გამოქვეყნება შეუძლიათ უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროექტი/ნაშრომის წარდგენის, დაცვისა და შეფასების პროცედურა;
- პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რეზიუმეები;
- ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამაგისტრო ნაშრომების სია;
- ინტერვიუ მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან, ადმინისტრაციასთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები

–

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

–

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)

–

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

–

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის განხორციელებაში ჩართულია სათანადო კვალიფიკაციისა და კომპეტენციის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელიც ფლობს შესაბამის კვალიფიკაციას და აქვს პრაქტიკული მუშაობის რამდენიმეწლიანი გამოცდილება. პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს 14 (ფაკულტეტის - 4, მოწვეული - 10) აკადემიური პერსონალი, მათ შორის 4 აფილირებული პირი (1 პროფესორი, 3 ასოცირებული პროფესორი). აკადემიურ პერსონალს აკადემიური თანამდებობები დაკავებული აქვთ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ღია კონკურსის წესით, აკადემიურ თანამდებობაზე არჩევა ხდება პირის პროფესიული კვალიფიკაციისა და უნარ-ჩვევების, მისი კომპეტენციისა და პიროვნულობის შესაბამისობით საკონკურსო თანამდებობასთან. პროგრამის განმახორციელებელი პირების კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობასთან. პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია, სწავლებისა და კვლევის გამოცდილება შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან. პროგრამაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს აქვთ შესაბამის დარგში სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია, პროგრამის პროფილის შესაბამისი აკადემიური ხარისხი, სწავლებისა და კვლევის გამოცდილება. არსებობს აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტპროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესი და პირობები. აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვაში შედის ისეთ საქმიანობა, როგორიცაა სილაბუსების შემუშავება და პერიოდული გადასინჯვა; სალექციო-სასემინარო მეცადინეობების ჩატარება; პრაქტიკული სასემინარო დავალებების მომზადება; შუალედური და დასკვნითი გამოცდების საკითხების მომზადება; სავარჯიშოების მომზადება; სტუდენტებისათვის კონსულტირების გაწევა; პროგრამის განვითარებაში ჩართვა. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რაოდენობა საკმარისია აღნიშნულ პროგრამაზე მისაღები კონტინგენტისათვის. წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ვიზიტის მსვლელობისას მიღებული ინფორმაციის

საფუძველზე დასტურდება, რომ სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან საჭირო რაოდენობის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით - პროგრამას ემსახურება 14 ადმინისტრაციული პერსონალი, რომელთა რაოდენობაც საკმარისია მისაღები კონტიგენტისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სამუშაო აღწერილობები; • პერსონალის პირადი საქმეები; • უნივერსიტეტში ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; • ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა; • ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაო აღწერილობის დოკუმენტი; • ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან.
რეკომენდაციები -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში) -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამაში ჩართული პირების შეფასებას. შეფასებაში მონაწილეობას იღებენ სტუდენტები, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსის მართვის სამსახურები. თითოეული მათგანი კონკრეტულ ასპექტს აფასებს, როგორიცაა სამუშაო აღწერილობა, ოპერაციული მიზნები, საბაზისო კომპეტენციები, ქცევითი კომპეტენციები და კვლევითი საქმიანობა. უნივერსიტეტი ყოველწიურად ატარებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებას. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროგრამის ხელმძღვანელებს აწვდის ინფორმაციას შეფასების შედეგებზე და ამ შედეგების ანალიზს. უნივერსიტეტი ზრუნავს პროგრამაში ჩართული პერსონალის განვითარებაზე. როგორც ვიზიტის მსვლელობისას ჩატარებული ინტერვიუდან და თვითშეფასების ანგარიშიდიან ირკვევა, პროგრამაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შესაძლებლობა აქვს, მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო კვლევებსა და კონფერენციებში. კერძოდ: ○ ფაკულტეტზე მოქმედი შიდა რეგულირებისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადე-

მიის მოთხოვნით, ყოველი კალენდარული წლის ბოლოს ხდება ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ყოველი წევრის სამეცნიერო საქმიანობის ანგარიშის წარდგენა, სადაც აღიწერება სამეცნიერო პუბლიკაციები და კონფერენციებში მონაწილეობა, სამეცნიერო პროექტები და სხვა სამეცნიერო აქტივობები.

- ფაკულტეტი აკადემიური პერსონალისთვის ატარებს სხვადასხვა სახის სამეცნიერო აქტივობებს (სემინარებს, ტრენინგებს, კონფერენციებს), რაც ხელს უწყობს მათ პროფესიულ განვითარებას. კონფერენციაში მონაწილეობა ღიაა და მასში ასევე აქტიურად მონაწილეობენ მოწვეული პედაგოგებიც.
- ფაკულტეტი აფინანსებს აკადემიური პერსონალის მონაწილეობას სამეცნიერო ფორუმებში, რომელიც აისახება ბიუჯეტის კონკრეტულ კატეგორიაში.
- ფაკულტეტი გასცემს სახელფასო დანამატს WEB of Science-ის, Scopus-ის მიხედვით იმპაქტფაქტორის მქონე ჟურნალში გამოქვეყნებულ სტატიაზე.

2019 წლიდან ფაკულტეტზე ფუნქციონირებს საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალი „ფსიქოლოგია“, სადაც ადგილობრივ და უცხოელ სპეციალისტებს შეუძლიათ გამოაქვეყნონ სამეცნიერო ნაშრომები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტში ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- გამოქვეყნებული ნაშრომები;
- ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან.

რეკომენდაციები

–

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

–

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)

–

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

–

შეფასება

- ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის შეფასება განხორციელდა თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით: მატერიალური რესურსების შესახებ ინფორმაციის დაზუსტება ექსპერტთა მხრიდან შემოფარგლული იყო თვითშეფასების ანგარიშით და ინტერვიურების მიმდინარეობისას ინფორმაციის დაზუსტებით. რომლის ფარგლებშიც დადგინდა, რომ უნივერსიტეტში არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს თსუ-ს მესამე კორპუსში მისამართზე - ჭავჭავაძის 11ა. საერთო ფართი - 3091.48 კვ.მ სასწავლო ფართის საერთო მოცულობა - 1213,23კვ/მ; აუდიტორიების საერთო რაოდენობა - 24 ერთეული. კომპიუტერულ რესურს ცენტრი - ოთახი 206-20 ერთეული კომპიუტერი სტუდენტებისთვის, ლაბო-

რატორია 1 – 20 ერთეული კომპიუტერი; ლაბორატორია 2 - 20 ერთეული კომპიუტერი; 2 ტრენინგოთახი. აუდიტორიებში ადგილების საერთო რაოდენობა - 814. უნივერსიტეტში არსებული ბიბლიოთეკა სტუდენტებს, ამ ეტაპზე დისტანციურად, სათანადო მხარდაჭერას უწევს. ონლაინ ვიზიტის ფარგლებში ბიბლიოთეკის წარმომადგენელთან ინტერვიუირებისას შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა რამდენიმე სახელმძღვანელო. პარარელურად, ექსპერტები გაეცნენ ელექტრონულ პორტალს, რომლის მეშვეობითაც სტუდენტებს გაციფრულებულ მასალებზე აქვთ წვდომა. ბიბლიოთეკაში განთავსებულია სილაბუსით განსაზღვრული ლიტერატურა. ბიბლიოთეკის ვებგვერდი არის ყველასთვის (როგორც სტუდენტებისთვის ისე პერსონალისთვის) ხელმისაწვდომი. ბიბლიოთეკაში მოწყობილია ხმისჩამწერი აუდიო სტუდია შშმ პირთათვის აუდიო წიგნების მომზადების მიზნით. გარდა ამისა, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის შოთა რუსთაველის სახელობის სამკითხველო დარბაზში და თსუ-სეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში ფუნქციონირებს სპეციალური საჭიროების მქონე მკითხველისთვის (უსინათლოებისთვის) სამუშაო სივრცე შესაბამისი კომპიუტერითა და პროგრამული უზრუნველყოფით. უნივერსიტეტის აკადემიურ, სამეცნიერო, მოწვეულ, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალს და სტუდენტებს წვდომა აქვთ მსოფლიოს მნიშვნელოვან, საინფორმაციო და საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებზე. კერძოდ, EBSCOHost, Cambridge Journals Online, Oxford Journals Collection, Encyclopaedia Britannica, BioOne, Royal Society Journals Collection, IMF eLibrary, Massachusetts Medical Society, Pediatric Neurology Briefs Publishers, SAGE Publications, Jstor, EconLit, EconBiz, IOP Publishing, Elsevier Science Direct, Web of Science და სხვ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საბიბლიოთეკო რესურსი; • ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის შესაბამისობა პროგრამაში მითითებულ სავალდებულო ლიტერატურასთან; • ბიბლიოთეკის წარმომადგენლებთან ინტერვიუსა და სისტემის დემონსტრირების შედეგები; • თვითშეფასების ანგარიში; • ინტერვიუ სტუდენტებთან.
რეკომენდაციები -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში) -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა ხორციელდება სახელმწიფო დაფინანსებით. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება უნივერსიტეტისა და ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც წარმოადგენს უნივერსიტეტის ბიუჯეტის ნაწილს. ამგვარად, უნივერსიტეტის ბიუჯეტით დაბალანსებულია პროგრამის განხორციელებისათვის გაწეული ხარჯები და შემოსავლები. ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებულია: აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება, კვლევითი პროექტების დაფინანსება, ლიტერატურის, ტექნიკისა და ინვენტარის შეძენა, სასწავლო–საველე პრაქტიკის დაფინანსება, სახელმძღვანელოების ბეჭდვის თანადაფინანსება, სტიპენდიისა და სასწავლო–სოციალური პროგრამების დაფინანსება. გარდა ამისა, ხდება აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსება, სტუდენტური ინიციატივებისა და პროექტების დაფინანსება, სტუდენტის მიერ სხვადასხვა ღონისძიებაში მონაწილეობისთვის ერთჯერადად წამახალისებელი ფულადი ჯილდო, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვისა და კომუნალური დანახარჯები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • უნივერსიტეტის და პროგრამის ბიუჯეტი; • ინტერვიუ უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან.
რეკომენდაციები –
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის –
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში) –
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) –
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებს არეგულირებს უნივერსიტეტში მოქმედი დოკუმენტი „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა“, რომელიც ადგენს მოთხოვნებს პროგრამებისადმი და განსაზღვრავს პროგრამების როგორც დაგეგმვა-შემუშავების, ისე განხორციელებისა და შეფასების პროცესურებს. მითითებული დოკუმენტის თანახმად, „პროგრამის შეფასება რეგულარური პროცესია და პროგრამის კომიტეტი აფასებს საგანმანათლებლო პროგრამას, პროგრამის ხელმძღვანელის მიერ წარდგენილი სტუდენტთა ყოველსემესტრული გამოკითხვის (მათ შორის, საუნივერსიტეტო სერვისებით და მომსახურებით კმაყოფილების), დამსაქმებლების, კურსდამთავრებულთა და პროგრამის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგების, ასევე, პროგრამის რესურსების (პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა) შესახებ ინფორმაციის, საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიშის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ რაოდენობრივი და თვისებრივი ინდიკატორების ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე“. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით, აღსანიშნავია, რომ პროგრამის შეფასების პროცესი არის: ▪ გამჭვირვალე - შეფასების პროცედურები არის რეგლამენტირებული, განსაზღვრულია იმ პირთა ვინაობა და ფუნქციები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამის შეფასებას. შეფასების პროცესში გამოიყენება წინასწარ შემუშავებული ფორმები. არსებობს შეფასების შედეგების დოკუმენტირების მექანიზმები (მაგ., ოქმები, ანგარიშები, სხვ.); ▪ კომპლექსური - მოიცავს პროგრამის შინაარსობრივ შეფასებას, პროგრამის განხოციელებისა და რესურსებით უზრუნველყოფის ასპექტების და დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, მასწავლებლების, კურსდამთავრებულების, პოტენციური დამსაქმებლების, სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლების და ა.შ. მოსაზრებების შესწავლას, საუკეთესო პრაქტიკების გათვალისწინების მიზნით უცხოეთის უსდ-ების პროგრამების შესწავლას და პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებას, აკრედიტაციის თითოეული სტანდარტის ჭრილში ძლიერი და გასაუმჯობესებელი ასპექტების იდენტიფიცირებას და მათი გაუმჯობესების გზების დასახვას. ▪ თანამშრომლობითი - უნივერსიტეტიში მოქმედი წესის თანახმად, პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და შეფასების მხარდაჭერას უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტი (პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი, კოორდინატორი (არსებობის შემთხვევაში), აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები; შესაბამისი პროფილის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარმომადგენლები (არსებობის შემთხვევაში), სტუდენტ(ებ)ი, კურსდამთავრებულ(ებ)ი, უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები, ასევე, პროგრამის პერსონალის სურვილის შემთხვევაში - პროფილური/სხვა დამსაქმებლები, უცხოელი სპეციალისტი და/ან სხვ. აკრედიტაციის მიზნით წარდგენილი პროგრამის თვითშეფასება მოახდინა სამუშაო ჯგუფმა (ფაკულტეტისა და პროგრამის ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი, დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და სპეციალისტი, პროგრამის ხელმძღვანელი და კოორდინატორი, პროგრამის სამუშაო ჯგუფის მიერ შერჩეული პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი). ასევე, თვითშეფასების პროცესში სახვადასხვა

ფორმით მონაწილეობდნენ პოტენციური დამსაქმებლების წარმომადგენლები, პროგრამის კურსდამთავრებული და სტუდენტი.

გარდა ზემოთ მითითებულისა, პროგრამის თვითშეფასების პროცესის მნიშვნელოვანი ხელშემწყობი გარემოებებია: 1) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში უფლებამოსილებების რაციონალური გამიჯვნა (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ცენტრალური ოფისი შეიმუშავებს სარეკომენდაციო/სახელმძღვანელო დოკუმენტებს/ინსტრუქციებს/ სხვ. და კოორდინაციას უწევს ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების საქმიანობას); 2) ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თავისუფლების მაღალი ხარისხი, რაც გულისხმობს ერთიანი საუნივერსიტეტო მიდგომებსა და ხედვების ფარგლებში ფაკულტეტის უფლებას მოახდინოს მათი იმპლემენტაცია არსებული საჭიროებებისა და პროგრამების თავისებურებების გათვალისწინებით; 3) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ თვითშეფასების პროცესის მხარდაჭერა - თვითშეფასების ჯგუფის წევრები, პროგრამის ხელმძღვანელი და განმახორციელებლები აღნიშნავდნენ თვითშეფასების პროცესში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აქტიურ ჩართულობას, კომპეტენტურ და დროულ კონსულტაციებს, ხელშეწყობას და სხვ.

აღსანიშნავი გარემოებაა პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებისა და განხორციელების შესაძლებლობების ობიექტური შეფასების საფუძველზე პროგრამაზე მისაღები სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრა. პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, მათთვის პრიორიტეტია პროგრამის განხორციელების ხარისხი, რის გამო არ იზრდებოდა გამოცხადებული ვაკანტური ადგილების რაოდენობა მიუხედავად იმისა, რომ შრომის ბაზარზე არსებობს პროგრამის კურსდამთავრებულებზე მაღალი მოთხოვნა, რაც დასტურდება მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისად პროგრამის კურსდამთავრებულთა 98%-ანი დასაქმებით და დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა“ და დანართები;
- შემუშავებული შეფასების ფორმები, დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვების ანკეტები და ჩატარებული კვლევების ანალიზის დოკუმენტები;
- ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტის პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების კომიტეტის სხდომის ოქმები;
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, დამსაქმებლებთან..

რეკომენდაციები

–

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

–

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)

- ხარისხის მართვის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ერთიანი საუნივერსიტეტო მიდგომებისა და ხედვების არსებობას, ისე ფაკულტეტების უფლებას მოახდინოს მათი იმპლემენტაცია საკუთარი საჭიროებებისა და პროგრამების თავისებურებების გათვალისწინებით.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

–

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ნაწილია გარე შეფასება, რომლის შედეგები გამოიყენება პროგრამის განვითარების და გაუმჯობესების მიზნით. მოქმედი დოკუმენტის „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა“ შესაბამისი დანართი ითვალისწინებს პროგრამის გარე შეფასების (აკრედიტაციის, მონიტორინგის ან მოწვეული გარე ექსპერტების) შედეგების შესაბამისად განხორციელებული ცვლილებები/შესაბამისი ღონისძიებების აღწერას.

აკრედიტაციის პროცესის ფარგლებში პროგრამის ბოლო შეფასება განხორციელდა 2011 წელს - საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით (#294, 11.11.2011) პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია. სხდომის ოქმის (#10, 11.11.2011) თანახმად, უნივერსიტეტი დაერთანხმა აკრედიტაციის ექსპერთა რეკომენდაციებს. მიუხედავად იმისა, რომ ყველა გაცემული რეკომენდაცია ატარებდა სასურველობის ხასიათს და არ არსებობდა მათი შესრულების ვალდებულება, გათვალისწინებულია ერთადერთი გაცემული რეკომენდაცია - პროგრამის კურიკულუმში (პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში) მითითებულია უცხო ენის (ინგლისური ენის) B2 დონეზე ენის ფლობის დადასტურების მოთხოვნა („გამოცდა ინგლისურ ენაში (B2 დონე)“).

პროგრამის გარე შეფასებაში მონაწილეობდნენ შესაბამის სფეროში დასაქმებული პროგრამის კურსდამთავრებულები. მიღებული განმარტებებით, გარე შემფასებლების სტატუსით კურსდამთავრებულთა ჩართულობა განპირობებულია იმით, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში პროგრამის კურსდამთავრებულთა 98% მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისადაა დასაქმებული, რიგ შემთხვევაში კი უკვე თავად დამსაქმებლები არიან და მათ მიერ პროგრამის შეფასება განსაკუთრებით საინტერესოა. ასევე, პროგრამა შეაფასეს შეფასების მიზნით შერჩეულმა დამსაქმებლებმა - დარგობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. შესაბამის ინტერვიუში მონაწილე პირებმა დაადასტურეს გამოკითხვებში, პროგრამის შემუშავებასა და შეფასებაში ჩართულობა, დადებითად შაფასეს პროგრამა და ხაზგასმით აღნიშნეს მისი აქტუალობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება (#294, 11.11.2011) და სხდომის ოქმი (#10, 11.11.2011);
- „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა“ (დანართი 5.1. „პროგრამის გარე შეფასების (აკრედიტაციის, მონიტორინგის ან მოწვეული გარე ექსპერტების) შედეგები და განხორციელებული ცვლილებები/შესაბამისი ღონისძიებები“);
- დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები;
- დოკუმენტი „შრომის ბაზრის კვლევა“;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან, დამსაქმებლებთან.

რეკომენდაციები

–

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მიზანშწონილია პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს როგორც დარგობრივი ორგანიზაციების, ასევე საქართველოს და უცხოეთის უსდ-ების მიერ.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)

–

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში) –
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებს არეგულირებს უნივერსიტეტში მოქმედი დოკუმენტი „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა“, რომლის თანახმად (იხ. მ.3.) პროგრამის შეფასება - რეგურალური პროცესია. ამ მიზნით გამოიყენება სხვადასხვა მექანიზმები, მათ შორის: პროგრამის წინასწარი შეფასების, განხორციელების შეფასებისა და განვითარების პროცესის ადმინისტრირების და ინფორმაციის სისტემატიზაციის მიზნით იქმნება უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების პორტფოლიო, ხორციელდება აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სწავლების შეფასება, პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ ინფორმაციის შეგროვება და სხვ. პროგრამის შეფასების ერთ-ერთ მექანიზმს წარმოადგენს სხვადასხვა ფორმების მეშვეობით დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების/დამოკიდებულებების შესწავლა (მათ შორის, სტუდენტთა ყოველსემესტრული გამოკითხვა) სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლებლების მოსაზრებების შესწავლა, რაც დასტურდება როგორც შესაბამისი ანალიზის დოკუმენტებით, ასევე სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგებით. როგორც ირკვევა, ძირითადი რეკომენდაციები ეხებოდა პროგრამაში პრაქტიკის კომპონენტის გაძლიერებას, რაც იქნა გათვალისწინებული პროგრამის მოდიფიცირების პროცესში პროგრამის სასწავლო კურსებში პრაქტიკული ნაწილის დამატებით. ასევე, პროგრამის კურიკულუმში მითითებულია „პრაქტიკის მოცულობა - 89 საათი (იხ. სილაბუსები და სასწავლო გეგმა)“. თუმცა, პროგრამის სასწავლო გეგმაში პრაქტიკის კომპონენტი გათვალისწინებული არ არის (იხ. პროგრამის აღწერა და სასწვლო გეგმა). პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს საფუძველზე გაირკვა, რომ პრაქტიკის კომპონენტი ინტეგრირებულია სასწავლო კურსებში. შესაბამისად, არ არსებობს პრაქტიკისთვის ცალკე განკუთვნილი სილაბუსი და ბუნდოვანია, საბოლოო ჯამში რამდენად შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს დაინტერესებულ მხარეთა მიერ გაცემული რეკომენდაცია. პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, თითოეული სასწავლო კურსი ითვალისწინებს პრაქტიკულ სამუშაოს. შესაბამისად, დაჯამების შედეგად პრაქტიკული სამუშაო გამოვიდა 89 საათი. უნივერსიტეტში მოქმედი წესების თანახმად, პროგრამის ხელმძღვანელის მიერ შეგროვილ ინფორმაციის, საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიშის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ რაოდენობრივი და თვისებრივი ინდიკატორების ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე პროგრამას აფასებს პროგრამის კომიტეტი. მეტი სიცხადისთვის ვიზიტის მსვლელობისას ფაკულტეტის წარმომადგენლებს ეთხოვათ ზემოთ მითითებული დებულების შევსებული დანართების: „საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიში“ (დანართი 16) და „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების

პორტფოლიო“ (დანართი 17) წარდგენა, თუმცა ეს დანართები ექსპერტებს არ მიეწოდათ.
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ გარდა მოქმედი მექანიზმებისა, ასევე იქმება გამოყენებული უნივერსიტეტში უკვე დანერგილი ახალი მექანიზმი - აკრედიტაციის პროცესის სიმულაცია (მოიაზრება სხვადასხვა ფაკულტეტების წარმმადგენლებისაგან შემფასებელთა ჯგუფის შექმნა, იმიტირებული ვიზიტი, პროგრამის შეფასება აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის ჭრილში, დასკვნის მომზადება და ა.შ.).
წარმოდგენილი დოკუმენტებით და ჩატარებული გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამების განვითარებაზე მუშაობა მიმდინარეობდა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის აქტიური ჩართულობით, მათ შორის საერთაშორისო გამოცდილების შესწავლის მიმართულებით. პროგრამის ხელმძღვანელის და განმახორციელებელი პერსონალის განმარტებით, პროგრამის მოდიფიცირების პროცესში განხილულ იქნა უცხოეთის უსდ-ების საგანმანათლებლო პროგრამები, თუმცა პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე პროგრამის სასწავლო გეგმის ჩამოყალიბებისას დეტალურად შესწავლ და გათვალისწინებულ იქნა პროფესიული ორგანიზაციის შრომის/სამრეწველო და ორგანიზაციის ფსიქოლოგთა საზოგადოების (The Society for Industrial and Organizational Psychology- SIOP) მიერ რეკომენდებული სასწავლო სფეროები. ასევე, პროგრამის ხელმძღვანელისა და განმახორციელებლების განმარტებით, პროგრამაში გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდები ეყრდნობა SIOP-ის მიერ შემუშავებულ დარგობრივ მახასიათებლებში/სტანდარტებში აღწერილ შრომისა და ორგანიზაციის სწავლა-სწავლების მეთოდებს, რომლებიც სრულად ორიენტიერებულია სწავლების, კვლევისა და პრაქტიკის ინტეგრაციაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა“ და მისი დანართები;
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- პროგრამის სხვადასხვა ასპექტის შეფასების მიზნით შემუშავებული შეფასების ფორმები, დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვების ანალიზის დოკუმენტები;
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებლებთან, სტუდენტებთან, კურსდამთვრებულებთან, დამსაქმებლებთან.

რეკომენდაციები

- პროგრამის განსხვავებულობის მიუხედავად, მოსაძიებელია უცხოეთის უსდ-ების პროგრამები, რომლებიც გარკვეულწილად თანხვედრაშია დაწესებულების პროგრამასთან, რათა იყოს შესაძლებელი სწავლების არსებული გამოცდილებისა და ტენდენციების გაზიარება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ჩატარებული შეფასების შედეგები მიზანშეწონლია იყოს ფორმალიზებული უნივერსიტეტის მიერვე შემუშავებული დოკუმენტის (ფორმების) სახით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

-

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია, მაგისტრატურა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 39

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ნათია ბადრიშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

მზია თედიაშვილი



თამარ გვიანიშვილი

სალომე საბიაშვილი



ქეთევან ჩეკურიშვილი